ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№40

ქ. თბილისი; 1 მარტი, 2019 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ქორქოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან ჭიქავა

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ქორქოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ა მ/რ კორპუს N25ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ:A01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის" (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის N19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ლევან მიქავამ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 62 820,0 ათასი (სამოცდაორი მილიონ რვაასოცი ათასი) ლარით და

აღნიშნულის შესაბამისად, ბიუჯეტის ჯამური ოდენობა განისაზღვრება 1 063 101,8 ათასი (მილიარდ სამოცდასამი მილიონ ას ერთი ათას რვაასი) ლარით.

ლევან მიქავას თქმით, პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

როგორც ბატონმა მიქავამ განმარტა, სესხის აღების მიზნით, კომერციულ ბანკებში გაიხსნება საკრედიტო ხაზი - 62 820,0 ათასი (სამოცდაორი მილიონ რვაასოცი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება ისეთი მაშტაბური პროექტების განხორციელებას, როგორიცაა, თბილისის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია.

ასევე, მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილ ცვლილებებში გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და რაიონული გამგეობების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე ხორციელდება.

ლევან მიქავამ ისიც დასძინა, რომ ბიუჯეტის ზრდისა და მიღებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილდა 68 324,6 ათასი ლარი შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები იზრდება 1 880,3 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები იზრდება 4 800,0 ათასი ლარით;
- ემატება პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 500.0 ათასი ლარის ოდენობით;
- პროგრამას თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა ემატება 200,0 ათასი ლარი;
- ქვეპროგრამას დაავადებათა სკრინინგი ემატება 450,0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება იზრდება 30,0 ათასი ლარით;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება იზრდება 3 357,0 ათასი ლარით;
- პროგრამა ქალაქის განვითარების ხელშეწყობა იზრდება 27 920,0 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებებს ემატება 5 200,0 ათასი ლარი;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა იზრდება 3 789,6 ათასი ლარით;
- საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება იზრდება 557,3 ათასი ლარით;
- ქვეპროგრამა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა იზრდება 200,0 ათასი ლარით;

- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები იზრდება 200,0 ათასი ლარით;

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებებით, იზრდება გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში - სულ 12 262,3 ათასი ლარით, მათ შორის:

- გლდანის რაიონში - 2 907,9 ათასი ლარი;
- ნაძალადევის რაიონში - 1 398,7 ათასი ლარი;
- ჩუღურეთის რაიონში 124,3 ათასი ლარი;
- ვაკის რაიონში 1 266,4 ათასი ლარი;
- საბურთალოს რაიონში - 3 415,0 ათასი ლარი;
- ისნის რაიონში 300,0 ათასი ლარი;
- სამგორის რაიონში -2 000,0 ათასი ლარი;
- კრწანისის რაიონში 600,0 ათასი ლარი;
- მთაწმინდის რაიონში 250,0 ათასი ლარი;

გარდა აღნიშნულისა, აგრეთვე, იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში 2 884,4 ათასი ლარით, მათ შორის;

- გლდანის რაიონში - 494,3 ათასი ლარით;
- ჩუღურეთის რაიონში - 162,3 ათასი ლარი;
- სამგორის რაიონში - 500,0 ათასი ლარი;
- კრწანისის რაიონში - 1 127,8 ათასი ლარი;
- მთაწმინდის რაიონში - 600,0 ათასი ლარი;

თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის პროგრამას ემატება 3 992,7 ათასი ლარი.

როგორც ბატონმა მიქავამ განმარტა, იზრდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხარჯები 101,2 ათასი ლარით. გარდა ამისა ბიუჯეტში ასახული იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამა 37,2 ათასი ლარის ოდენობით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ქვეპროგრამის სახით.

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 000 951,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 910 031,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი;

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 150 000,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი - 473 415,2 ათასი ლარი;

გრანტები 51 341,5 ათასი ლარი:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,5 ათასი ლარი;

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი;
- სპეციალური ტრანსფერი 50 000,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები 200 274,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 10 650,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 47 000,0 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 74 000,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 10 000,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებლები - 10 850,0 ათასი ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) -- 40 000,0 ათასი ლარი;

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 063 101,8 ათასი ლარით, მათ შორის:

ხარჯები განსაზღვრულია 700 331,8 ათასი ლარით;
არაფინანსური აქტივების ზრდა 347 359,2 ათასი ლარი;
ვალდებულებების კლება 15 410,8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 320 359,2 ათას ლარს, მათ შორის:
არაფინანსური აქტივების ზრდა – 347 359,2 ათასი ლარი;
არაფინანსური აქტივების კლება – 27 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (63 250,3) ათას ლარს, მათ შორის:
ფინანსური აქტივების კლება – 63 250,3 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 47 409,2 ათას ლარს, მათ შორის:
ვალდებულებების ზრდა 62 820,0 ათასი ლარი;
ვალდებულებების კლება 15 410,8 ათასი ლარი.

ამასთან, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ განაცხადა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მცირდება შემდეგი პროგრამები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა 3 200,0 ათასი ლარით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება 1 600,0 ათასი ლარით;
- კომუნალური სუბსიდირება 300,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება 30,0 ათასი ლარით;
- ცხოველთა მონიტორინგი 4,8 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა 79,6 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში 83,3 ათასი ლარით;
- მცირდება მერიის ადმინისტრაციის ხარჯები 206,8 ათასი ლარით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (110 659,5) ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა, გამგეობებისთვის გადანაწილებული ფინანსური რესურსის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული თანხების გადანაწილება განხორციელდა გამგეობების მომართვიანობის საფუძველზე და მოხმარდება გზების მოვლა-შეკეთებასა და ასევე, კეთილმოწყობის ღონისძიებებს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განცხადებით, ოპონენტების თქმით, თანხების დიდი ნაწილი იხარჯება დანა-ჩანგლის სამსახურზე და ასევე მერიის პიარზე. კომისიის თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ლევან მიქავამ განმარტა, რომ მუნიციპალური განვითარების სააგენტოს ემატება გარკვეული თანხები, რომელიც განსაზღვრულია სერვისცენტრების განვითარებისათვის. ასევე, თანხები განსაზღვრულია პროგრამების სალიცენზიო და ანტივირუსული განახლებისთვისა და სასერვერო ადგილის მოწყობისათვის. ბატონი მიქავას თქმით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სამსახურს ასევე ემატება თანხები, რომელთა ნაწილი გათვალისწინებულია პროექტის „გაუფრთხილდი ქალაქს" კამპანიის წარმოებისთვის.

ნინო ლაცაბიძე დაინტერესდა მოქალაქეთა მომსახურების ცენტრების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი არის თუ არა საკმარისი ათივე გამგეობისათვის.

ქალბატონი ნინოს შეკითხვას მომხსენებელმა უპასუხა დადებითად.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მითითების ნაწილში, ნაცვლად აღნიშნულისა, მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი". ამასთან, სასურველია, მიეთითოს ხსენებული ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2-3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ნინო კვენეტაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტებით ხდება, ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის (60-მდე პირი) გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული პირების შერჩევის პროცესში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ერთ-ერთ კრიტერიუმად განისაზღვრა მათი სოციალური სტატუსი.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ვინაიდან, შესაბამისი ქონების გადაცემა ხდება არამხოლოდ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის, არამედ, მათი უფლებამონაცვლეებისთვისაც, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი

უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“

ასევე, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილ პროექტებთან მიმართებაში არსებობს იდენტური ხასიათის შენიშვნები, კერძოდ, ორივე პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები.

ასევე, მე-2 საკითხად წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორად უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N19.125.180 განკარგულების სათაური, ხოლო, მე-3 საკითხად წარმოდგენილი პროექტის პირველ პუნქტში ასევე სწორად უნდა მიეთითოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N19.52.98 განკარგულების სათაური. შესაბამისად, ორივე განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

ასევე, ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ განკარგულებათა პროექტების დანართ №2-ში გამოყენებული ტერმინი „სამართალმემკვიდრე“ უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით - „მემკვიდრე“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული

ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ნინო კვენეტაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტებით ხდება, ქალაქ თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის (100-მდე პირი) გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის დანართ №2-ში გამოყენებული ტერმინი „სამართალმემკვიდრე" უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით - „მემკვიდრე".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ა მ/რ კორპუს N25ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ა მ/რ კორპუს N25ა-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე - დავით დავითაშვილისთვის (პ/ნ 01003003214) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების ინფორმაციის მიხედვით, დავით დავითაშვილი და მისი სამი შვილი 18 წელია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობამ, სააგენტოში წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა, აღნიშნული უძრავი ქონების დავით დავითაშვილისათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დავით დავითაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად" და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი" ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად მოქალაქე - მათე ლალიაშვილისთვის (პ/ნ01024037559) საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების ინფორმაციის თანახმად, მოქალაქე მათე ლალიაშვილი 1993 წლიდან დღემდე, ოჯახთან ერთად, ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში მდებარე უძრავი ქონების, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე მათე ლალიაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე მათე ლალიაშვილზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სააგენტოს 2018 წლის 1 აგვისტოს ამონაწერის თანახმად, მოქალაქე მათე ლალიაშვილის საკუთრებაში ირიცხება, ქ.თბილისი, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა, 33.30 კვ.მ ავტოფარეხი, ხოლო, მათე ლალიაშვილის მამის - ვიქტორ ლალიაშვილის საკუთრებაში ირიცხება - ქ.თბილისი, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა, 13.55კვ.მ და 5.07 კვ.მ სარდაფი.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად" და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი" ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად მოქალაქე - მათე აბრამიშვილისთვის (პ/ნ 38001023714)

საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების წერილით დასტურდება, რომ მოქალაქე მათე აბრამიშვილი აღნიშნულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობს 2001 წლიდან დღემდე. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა - გლდანის ლტოლვილთა რაიონების საუბნო განყოფილება.

ნინო კვეტენაძემ ისევე ღასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დიოსკურია"-ს 2018 წლის 31 ოქტომბრის №1 ოქმის თანახმად, კრების ყველა დამსწრე წევრი ადასტურებს, რომ მოქალაქე მათე აბრამიშვილი მის ოჯახთან ერთად 2001 წლიდან ცხოვრობს ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობამ, საქმესტორში წარადგინა არაერთი წერილობითი შუამდგომლობა, მათე აბრამიშვილისთვის მის დაინტერესებაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ნინო კვენეტაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მათე აბრამიშილსა და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, თბილისის სარეგისტრაციო ზონის ფარგლებში, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, რომ განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად" და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ:# 01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მ/რ-ში მდებარე **168.54** კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას 2 (ორი) წლის ვადით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ბავშვებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, ააიპ - ია-ს, 2016 წელს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, გლდანის მასივში, IV მ/რ მდებარე 445.21 კვ.მ ფართიდან **157.55** კვ.მ ფართი, ორი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, ამ ორგანიზაციამ ითხოვა ამ უძრავი ქონების იგივე სარგებლობის ფორმით გადაცემა, დაზუსტებული ფართობით (**168.54**კვ.მ.) ზემოაღნიშნული ცენტრის განთავსების მიზნით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს გააჩნია დადებითი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია უზუფრუქტის ფორმით.

გარდა აღნიშნულისა, კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტად განისაზღვროს უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების ვადა შემდეგი რედაქციით:

- „2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლით.“

შესაბამისად, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტი განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის N19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სს „საქართველოს ბანკსა“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულმა ბანკმა აიღო ვალდებულება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტროს სადგურში და ავტობუსების გაჩერებების მიმდებარედ განათავსოს სატრანსპორტო ბარათის შევსების ფუნქციის მქონე მინიმუმ 450 (ოთხას ორმოცდაათი) სწრაფი გადახდის აპარატი. აღნიშნული მომსახურების შესრულებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს ბანკის“ ქვეკონტრაქტორი კომპანია - შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“.

იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2028 წლის 15 სექტემბრამდე ვადით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ გადაცემა, სწრაფი გადახდის აპარატების განთავსების მიზნით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია რომ განკარგულების პრეამბულაში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 116-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, ნაცვლად 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით, მათ შორის უზუფრუქტის ფორმით.

ამასთან, თავმჯდომარემ აღნიშნა რომ განკარგულების პროექტის პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შემდეგი ნორმები:

- ✓ $122^{1}$ მუხლის მე-6 პუნქტი;
- ✓ $122^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტი;
- ✓ $122^{1}$ მუხლის მე-9 პუნქტი;

ბატონმა ლევანმა იქვე დასძინა, რომ განკარგულების პრეამბულაში ასევე უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **№19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის:

- ✓ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი;
- ✓ მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი;
- ✓ მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი;

გარდა ამისა, თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი უძრავი ქონების შპს „ვაირელეს ფუდ ჯორჯიასთვის" (ს/ნ 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის <u>საკითხის შეთანხმების</u> თაობაზე"

ასევე, ბატონი ლევანის თქმით, განკარგულების პრეამბულაში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის N34.04.652 განკარგულების სათაური

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

[illegible] უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. [illegible] ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომის დამსწრეებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მთავრობის N19.203.308 განკარგულების დანართი №2-ში მითითებულ მიწის ნაკვეთებზე, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ცხადდება უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის ელექტრონული აუქციონი, რომლის გამოცხადების მიზანია, დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ელექტროსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ნინო კვეტენაძის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „მეიჯარე“), აუქციონში გამარჯვებულ პირს (შემდგომში - „მოიჯარე“), ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცემს, ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულების დანართი №2-ით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებს.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ აუქციონით განსაზღვრული თითოეული მიწის ნაკვეთით სარგებლობის ყოველწლიური საბაზრო საიჯარო ღირებულება სამხარაულის დასკვნის მიხედვით შეადგენს 300 (სამას) ლარს, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუქციონი ცხადდება, თითოეული მიწის ნაკვეთის წლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობით და წლიური საიჯარო ქირის საწყისი საფასური შეადგენს, სიმბოლურად, 1 (ერთ) ლარს. ასევე, აუქციონის პირობების თანახმად, თითოეული მიწის ნაკვეთის ფართობი - 1 კვ. მ. ხოლო, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 10 წელი.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები განათავსოს და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში. ასევე მოიჯარე ვალდებულია, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსებისა და შესაბამისი სერვისის მიწოდების დაწყებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში, უსასყიდლოდ მოემსახუროს მომხმარებელს, ხოლო, 1 (ერთი) წლის შემდეგ, მოიჯარე უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს მომსახურების ტარიფი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში, მეიჯარე ვალდებულია, მოიჯარეს განუსაზღვროს დამატებით 30 (ოცდაათი) ლოკაცია, რომელზეც მოიჯარე ვალდებულია 6 (ექვსი) თვის ვადაში დამატებით განათავსოს ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები.

დასასრულს, მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ აუქციონი წარიმართება 1 (ერთ) ლოტად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ბე შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს, ხოლო, ბიჯი განისაზღვრება 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მეტად მნიშვნელოვანია ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მოითხოვს მსგავსი ტიპის ხელშეწყობას.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პრეამბულაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ტ“ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს „ტ“პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.
ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქორქოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია